

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ.ბათუმი

2013 წლის 01 ნოემბერი

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/64

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში საათობრივი ანაზღაურების, მოწვეული პროფესორებისა და სპეციალისტების მიერ ჩატარებული მასტერკლასებისა და საჯარო ლექციების ტარიფების განსაზღვრის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და უნივერსიტეტის შინაგანაწესის მე-10 და მე-11 მუხლების საფუძველზე აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ხელოვნების უნივერსიტეტში ძირითად შტატზე მომუშავე პერსონალის საათობრივი ანაზღაურების წესით ჩატარებული ერთი საათის ღირებულება განისაზღვროს:

- პროფესორი - 10. 00 ლარი;
- ასოცირებული პროფესორი - 9. 00 ლარი;
- ასისტენტ-პროფესორი - 8. 00 ლარი.
- პროფესორ-კონსულტანტი - 10. 00 ლარი.

2. უნივერსიტეტში მოწვეულ მასწავლებელთა საათობრივი ანაზღაურების წესით ჩატარებული ერთი საათის ღირებულება განისაზღვროს:

- ემერიტუსი - 10. 00 ლარი.
- მოწვეული უფროსი მასწავლებელი სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის მქონე და დოქტორანტი - 9. 00 ლარი;
- მოწვეული უფროსი მასწავლებელი სამეცნიერო და აკადემიური ხარისხის გარეშე - 8. 00 ლარი;
- მოწვეული მასწავლებელი - 7. 00 ლარი.
- კონცერტმასტერი - 8. 00 ლარი;
- ილუსტრატორი - 7. 00 ლარი.

3. უნივერსიტეტში მოწვეული პროფესორებისა და სპეციალისტების მიერ ერთი მასტერკლასის ან ერთი საჯარო ლექციის ანაზღაურება განისაზღვროს 250 ლარის ოდენობით.

4. ქ. თბილისიდან მოწვეული პროფესორებისა და სპეციალისტების საათობრივი ანაზღაურება განისაზღვროს შემდეგნაირად:

- პროფესორი/საშემსრულებლო დარგის მოწვეული სპეციალისტი - ერთი საათი - 30 ლარი;
- ასოცირებული პროფესორი და მეცნიერ-მუშაკი - ერთი საათი - 25 ლარი;
- ასისტენტ-პროფესორი და მოწვეული სპეციალისტი - ერთი საათი - 20 ლარი.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „2009-2010 სასწავლო წელს ხელოვნების ინსტიტუტში მოწვეული პროფესორებისა და სპეციალისტების საათობრივი ანაზღაურების ტარიფების განსაზღვრის შესახებ“ რექტორის მოვლეობის შემსრულებლის 2009 წლის 21 სექტემბრის № 20 ბრძანება, „2009-2010 სასწავლო წელს ხელოვნების ინსტიტუტში მოწვეული პროფესორებისა და სპეციალისტების საათობრივი ანაზღაურების ტარიფების განსაზღვრის შესახებ“ 2009 წლის 21 სექტემბრის № 20 ბრძანებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ“ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2010 წლის 24 სექტემბრის № 227 ბრძანება, „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში საათობრივი ანაზღაურების ტარიფების განსაზღვრის შესახებ“ 2010 წლის 11 ოქტომბრის აკადემიური საბჭოს № 17 დადგენილება და „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში მოწვეული პროფესორებისა და სპეციალისტების მიერ ჩატარებული მასტერკლასებისა და საჯარო ლექციების ტარიფების განსაზღვრის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 21 ნოემბრის № 83 დადგენილება.

6. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

7. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე

ე. მესხია